№ 219
სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 219
სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ეღირება **3** მან. **50** კაპ.

**ირაკლი და იოსებ ალექსანდრეს ძენი გუნცაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა 9 ოქტომბერს თავიანთ ძვირფასის ძმისას

**ვლადიმერ ალექსანდრეს ძის გუნცაძისას.**

განსვენებულის გვამს 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ რკინის გზის სადგურზედ გაასვენებენ (ძველ-არსენალის ქუჩიდგან, № 10), ხოლო იქიდგან შორაპნის მაზრის სოფ. კვალითში.
(1—6.—1)

## ქ. ქუთაისში
## კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
## სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან სალამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები.
(30—147—10)

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს.

საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის გამომჭრელი ქალი სამკერვალოსათვის.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად-ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული.
(24—5.—6)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2—2$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შაპკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7—7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
**დ ი ლ ი თ:**

**პ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობსით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. ბძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაწაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

# ფელეტონი

## ბიძია თომას ქოხი

ბიჩერ-სტოუსი

(შემდეგი *)

### IX

თომა, როგორც ვთქვით, ახალს ორლეანში გაჰგზავნეს გასასყიდად. იმ სახლის წინ, სადაც საჯარო ვაჭრობა ხდებოდა, ყოველ-დღე ნეგრებს, ქალსა თუ კაცს, რიგ-რიგად ამწკვრივებდნენ. ზედამხედველები სულ იმის ცდაში იყვნენ, საქონელს რაც შეიძლება მხიარული შეხედულობა ჰქონოდა და ამისთვის ძალა-უნებურად ამხიარულებდნენ საბრალო მონებს, თუმცა ყოველს მათგანს მთელი ჯოჯოხეთი უტრიალებდა გულში.

ქალთა ჯგუფში განსაკუთრებით ყურადღებას ორი ქალი იქცევდა. დედა და ქალიშვილი. ორივენი თეთრკანიანები და მეტის-მეტად ლამაზები იყვნენ. განსაკუთრებით-კი შვილი. ის იქნებოდა ასე თხუთმეტიოდე წლისა, შავი გიშერა თმა სასიამოვნოდ დაჰყროდა წელზედ, ერთი შეხედვა საკმარისი იყო შეგეტყოთ, რომ ისინი ერთს ქალბატონს ეკუთვნოდნენ, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება მიექცია მათის სწავლა-განათლებისათვის და მხოლოდ გაჭირვებულს მდგომარეობას აეძულებინა გაეყიდნა ისინი.

მთელი ღამე საბრალო დედამ თეთრად გაათენა, ის სულ თავისს ემმას ფიქრში იყო.

ისინი მიჰკუჰკულიყვნენ ერთს კუთხეში და ჩუმად სტიროდნენ. ის ფიქრი, რომ ხვალ შეიძლება ერთანეთისთვის გაეშორებინათ ისინი, გულს უთუთქავდა ორივეს და ბოლმას უორკეცებდა.

— აბა, დედი, სცადე ერთი, იქნება დაგეძინოს, — ეუბნებოდა ემმა: აი ჩემს მუხლებზედ დასდე თავი.

— ეჰ, არა, შვილო, თავი დამანებე. ვინ იცის მე ჩაქოლვილი უკანასკნელს ღამესაც ვატარებ შენთან ერთად. დამაცადე, დავტკბე მაინც ამ უკანასკნელად შენთან ყოფნით.

— კარგი ერთი, დედი, გულს ნუ გაიტეხ, განა შესაძლო არ არის, რომ ორივენი ერთად გვიყიდონ?! — ანუგეშებდა შვილი.

დილით ვაჭრობა დაიწყო.

ემმას მიუახლოვდა ზედამხედველი და ნაწნავის დაშლა უბრძანა.

— იმედია ერთი ათიოდე თუმანი მოგება კიდევ დარჩეს, — წაიბურტყუნა თავისთვის მან.

მუშტარი დაურიდებლივ სინჯავდა საქონელს და ხალხს როგორც პირუტყვს, ისე აფასებდა. განსაკუთრებით ერთი მუშტარი სცემდა თავზარს ყველა მონებს. ჯერ მხოლოდ იმაზედ შეგეძლოთ მიმხვდარიყავით, რა კაცი უნდა ყოფილიყო ეს ვაჟბატონი, თუ როგორ ჰსინჯავდა მონებს. აგერ ის თომასაც მიუახლოვდა, მოჰკიდა ყბაზედ ხელი და პირი გააღებინა, კბილების დასათვალიერებლად. ხან აქეთ მიატრიალა, ხან იქით, ახტუნავა, არბენინა.

ემმასაც ასე დაურიდებლად მოექცა და ცოტა ხანს უკან თომა და ემმა, პატარა შევაჭრების შემდეგ, გაყიდულნი იყვნენ.

ლეგრიმ, ასე ეძახდნენ თომას ახალ პატრონს, იმ გემზედ მოათავსა თავისი საქონელი, რომელიც წითელ მდინარით ზემოდ მისცურავდა. საბრალო თომა მოწყენილი იჯდა ერთს ალაგს, ხელ-ფეხზედ ბორკილ-გაყრილი და მწარედ ჩაფიქრებულიყო, იგი ამ შეუბრალებელს ბედის დევნას უსიტყვოდ, უბრძოლველად დამორჩილებოდა, ან რა უნდა ექმნა, ვის უნდა გასძალიანებოდა, მთელს ერს?.. ეს აზრადაც არ მოსვლია. ამ დროს მიუახლოვდა ლეგრი.

— შენ ეი, არ გესმის? გაიხადე ემ საათში ეგ ახალი ტანისამოსი, უბრძანა შეტევით თომას: ყელსახვევი და აბრეშუმის ხელცახოცი, რომელიც თომას ჰქონდა, წაართვა და ჯიბეში ჩაიდო. როცა თომამ გაიხადა ტანისამოსი, პატრონმა დაძონძილ-დაკონკილი ნაგლეჯები გადუყარა ჩასაცმელად და ხის ფეხსაცმელებიც მიუგდო ისეთი, როგორსაც მარტო მონები ხმარობდნენ, მერე გამოუქექა ჯიბეები და რამდენიმე სათამაშო, რომელთაც თომა ევას სამახსოვროდ ინახავდა, გადაუყარა წყალში, ლოცვანიც იქავ გადაუძახა.

— აღარც ეს არის ეხლა შენთვის საჭირო, — დააყოლა მან გულ-მომყვან კილოთი. შენი ღმერთი, გესმის შენა, ახლა მე ვარ, მე!.. ეს კარგად დაისწავლე, თორემ სულ ყბებს დაგამტვრევ!

თომა ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ დაბადების დამალვა მაინც მოასწრო ტანისამოსში, რომელიც ის იყო ჩაიცვა, თორემ ეს პირუტყვი არც აქ მოერიდებოდა, ამასაც გადაუძახებდა მდინარეში. რაც-კი რამ ებადა საბრალო თომას, სულ გაუყიდა პატრონმა.

ახლა ლეგრი მიუახლოვდა ემმას და ნიკაპზედ ხეპრულათ წაავლო ხელი, ლეგრის თავზარი დასცა ამ გვარმა ალერსმა.

— ჩემო გოგონავ, ნუ გეშინიან. გამხიარულდი, თუ ჭკვიანი იქნები, ქალბატონადაც გაგხდი და არც გამუშავებ. ისეთი ბრჭყვიალა საყურეები გიყიდო, რომ შენ ტოლ-ამხანაგებს სულ თვალები ებრიცებოდეთ.

— თქვენ ეი! მხიარულად იყავით, თორემ მე ვიცი თქვენა, მიუბრუნდა ის ახლა სხვა ნეგრებს: ამასა ჰხედავთ, — და თან თავისი უშველებელი მუშტი უჩვენა, — ამდენს მოგაყოლებთ, სულ „ვაიმე, დედა“ გაძახებინოთ.

თავისს მამულში ლეგრის ორი გამხეცებული ნეგრი დაეყენებინა მოურავებად — ზამბო და კვიმბო! იმდენს სცდილიყო, რომ, ყოველივე ადამიანური გრძნობა დაეხშო იმათში და ნამდვილ პირუტყვებად გარდაექმნა. როცა-კი შემთხვევა ხელთ ჩაუგდებდა, ერთ-ერთ ნეგრთაგანს, რომელიც რასმეს დააშავებდა, იმათ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მოჰყვებოდნენ და იმდენს ურტყამდნენ, ვიდრე მოსასულიერებელი არ გახდებოდა საბრალო ნეგრი. მერე მიაგდებდნენ და სტკბებოდნენ იმისის ტანჯვით.

ლეგრის თავისის მონებისათვის რაღაც ქოხ-მახები ჰქონდა გაკეთებული, სადაც ავეჯის მაგივრობას ხის კუნძები სწევდა და ქვეშსაგების მაგივრობას დამპალი ჩალა, რომელიც ცარიელ, ცივს მიწაზედ იყო დაყრილი.

ლეგრის ხელში კარგ-ჯანოვანს ვაჟკაცს ძნელად, რომ ექვსი-შვიდი წელიწადი გაეძლო და უჯანოები ხომ სამს წელსაც ვერა სძლებდნენ და იხოცებოდნენ, ისე ართმევდა სულს წელ-მომწყვეტ მუშაობით. სასარგებლოდ სთვლიდა, მუშაობით სული ამოეძრო საბრალო ნეგრისათვის და მერე ამის სამაგიეროდ სხვა ეყიდა.

— თომას, მისვლისათანავე, თავისი კუთხე უჩვენეს ერთ-ერთ ქოხში. გვიან ბინდისას, როცა მუშები მინდვრიდგან სახლში დაბრუნდნენ მშიერ-მწყურვალნი და დაღალულ-დაქანცულნი, მათ შორის დიდი ალიაქოთი ასტყდა ხელ-საფქვავის გამო, რომლითაც ყოველს მათგანს უნდა დაეფქვა თავისთვის ერთი ჯერი სიმინდი, რომ მერე თავისთვის პური გამოეცხო. ეს იყო და ეს. მთელის დღის მშიერ მწყურვალს, დაღალულ-დაქანცულს ეს პატარა სიმინდის პური უნდა ეკმარა.

გაცხარებული მუშაობა იყო, მინდორში პურსა ჰმკიდნენ და საბრალო ნეგრებს ღონის მიხდამდის ამუ-

*) იხ. „ივერია“ № 216.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი — მორიგებით.
ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის მეგლის პირდაპირ).
დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

ექიმი
კ. ს. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—5)

# ახალი ამბავი

*** დღეს, 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზედ, სამხედრო მუზეუმში დაიწყება სამეურნეო—სამოსწავლო-სამეცნიერო გამოფენა, რომელიც გასტანს 10 ნოემბრამდე.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელიც დანიშნული იყო 9 ოქტომბრისათვის, ვერ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

*** 10 ოქტომბერს ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში, ი. ა. თაიროვის თავმჯდომარეობით, მოხდა საზოგადოების წევრთა და მსესხებელთა საერთო კრება 1-ლ ხარისხის 24 რწმუნებულის ასარჩევად. ბარათებით კანდიდატებად დასახელებულ იქმნა 51 კაცი, რომელთაგან ერთმა, მ. ს. შესტაკოვმა, კენჭი არ იყარა და რწმუნებულნი არჩეულ იქმნენ 50 კანდიდატთა შორის.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების მეორე სესსია ქ. გორში დაიწყებს საქმეთა განხილვას 4 ნოემბრიდგან და დაამთავრებს 16 ნოემბრამდე.

*** ვორონეჟის გუბერნიის სოფ. ეკატერინოვკაში გარდაიცვალა ქართველ მეფის გიორგი მე-XIII შვილი-შვილი უგანათლებულესი თავადი გიორგი ილიას ძე გრუზინსკი, რომელიც სამხედრო სამსახურში ჰმსახურებდა და დამსახურებული ჰქონდა პოლკოვნიკის ხარისხი. 1864 წელს მან სამსახურს თავი დაანება და დასახლდა თავისს მამულს ეკატერინოვკაში. განსვენებულის გვამი დაასაფლავეს 4 ოქტომბერს მოსავაში, თავ. გრუზინსკთა საგვარეულო აკლდამაში.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ განსახილველად მიიღო საყურადღებო საქმე გორის მაზრის გლეხთა შაქრო ზუმბულაძისა, დავით მიგრიდხენაშვილისა, გიგო აბუაშვილისა და მიხეილ ქანაშვილისა, რომელთაგან პირველს ისა ბრალდება, რომ მან თავში ჯოხის დაკვრით მოჰკლა გორის რაზმის ჯარის-კაცი სოხაძე, ხოლო დანარჩენთ ისა, რომ მათ ბაღში დაიჭირეს ჯარის-კაცები სოხაძე და სირაძე, ძალდატანებით დაამწყვდიეს ისინი წისქვილში და ამყოფეს იქ ერთის ღამის განმავლობაში. ეს საქმე გორში გაირჩევა.

*** მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ ვენახების სივრცე ამიერ-კავკასიაში უდრის 19,790 დესეტინას; არის ისეთი ვენახები, რომელთაც ერთი დესეტინა 6,000 მანეთად ჰფასობს. დესეტინაზედ ღვინო მოდის 100-დგან 400-ამდე ვედრო.

*** პარასკევს, 15 ოქტომბერს, დილის 8 საათიდგან, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულო მოქმედებას დაიწყებს იმ ყმაწვილ-კაცთა ჯარში გასაწვევად, რომელნიც დაბადებულან 1877 წლის 1-ლ ოქტომბერსა და 1898 წლის 1-ლ ოქტომბერს შუა.

პირველ დღეს (15 ოქტ.) წაკითხულ იქმნება იმ ყმაწვილთა გვარები, რომელნიც 1899 წლის სიებში სწერიან, და გამოცხადებულ იქმნება, თუ ვის რა შეღავათი აქვს. შემდეგ მოხდება კენჭის ყრა, რომელიც იმავე დღეს უნდა გათავდეს.

მეორე დღეს (16 ოქტ.) მკურნალი გასინჯავს ჯარის-კეცებად წასაყვან ყმაწვილებს.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, გამოქვეყნებულია, რომ შეცვლილ იქმნას ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდება.

*** „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას“ წელს უყიდნია ქუთაისის მაზრაში 6,000 ფუთი ნედლი პარკი 80,000 მანეთად. აქედგან 2,000 ფუთი ხმელი პარკი აღმოჩენილა, რომელიც ამ დღეებში გაგზავნილ იქმნა მარსელში, სადაც გაემგზავრა ამხანაგობის მმართველიც ნ. ი. წერეთელი. („ახ. მ.“)

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, მეაბრეშუმეთა კრების თავმჯდომარედ, რომლის მოწვევა განზრახულია ქუთაისში მომავალ ნოემბრისათვის, იქნება ქუთაისის გუბერნატორი გენ. მ. გერშელმანი.

*** სამკურნალო დეპარტამენტმა საუწყებლთაო მიწერილობით წინადადება მისცა კავკასიის გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს, ცნობები მოგვაწოდონ მცხოვრებთა შორის სიფილისის გავრცელების შესახებ.

*** როგორც ისმის, მიწად-მოქმედების სამინისტროს ფული გადაუდვია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის იმ აზრით, რომ ამ საზოგადოებამ ადგილობრივ მცხოვრებთ ბაღსხეულობის თესლი მააწოდოს.

*** ტფილისის გუბერნატორი იღებს: იმათ, ვისაც სამსახურის გამოსვლის ნახვა, დილის 9 საათიდგან 10 მდე; ხოლო მთხოვნელთ და საზოგადოდ ყველა იმათ, ვისაც კერძო საქმეები აქვს გუბერნატორთან, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 1-ლ საათიდგან 2-მდე.

*** სადგ. ხაშურიდგან იუწყებიან: 9 ოქტომბერს, დილით, ტელეგრაფისტი კიკნაძე სიმთვრალის დროს შეუვარდა კანტორაში და ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა ტელეგრაფისტი ჯაფარიძე. კიკნაძემ სხვებსაც დაუპირა ჩხუბი, მაგრამ მას ხანჯალი წაართვა ტელეგრაფისტმა ორჯონიკიძემ. კიკნაძე დაპატიმრებულია.

**შეცდომის გასწორება**: წერილში „სასწავლებლის საჭიროება ზესტაფონში“ შეცდომით დაბეჭდილია: არა მოხარკე წოდებამ უნდა გადაიხადოს ოც-ოცი მან. (20 მან.). უნდა იყოს: ორ-ორი მან. (2 მ.) შემდეგი ანგარიშიც ამ გასწორების მიხედვით უნდა იქმნას შესწორებული.

## ქართული დრამა ქუთაისში.

### I

1 ოქტომბერს დაიწყო ჩვენის თეატრის სეზონი. ითამაშეს „სამშობლო“, ეს ჩვენი საყვარელი პიესა. იგი საუკეთესო პიესაა ჩვენს რეპერტუარში და ეგრეთვე დარჩება იგი კიდევ დიდხანს. იგი ნამდვილი სურათია ჩვენი წარსულისა, ჩვენი წინაპრების თავგანწირულობისა, თავისუფლების ძლიერის სიყვარულისა, მათის ხასიათის ძლიერებისა.

ვ. მესხიშვილი თამაშობდა შაჰის როლს და მშვენივრადაც. მან დაგვიხატა პირველად ამ როლში ჩვენი სისხლის მწოველი მტარვალი. შესანიშნავი იყო ზოგიერთი ადგილი, მაგ. მეექვსე სც., შაჰს რომ ეუბნებიან,—იმ სახლში მკვდარი ქალი ასვენიაო, იგი შეშინებული მიწაზედ დაეცემა; და ამბობს: უფალო! შენ უფრო სასტიკი სასჯელი იცი, ვიდრე ჩვენ, ადამიანებმაო; ანუ ამავე სცენაში, ხალხს რომ ჩაუვლის და აკვირდება მტარვალის თვალებით, სადმე ღალატი ხომ არ იმალებაო; ანუ მეორე მოქმ., ხიმშიაშვილი ხმალს რომ ესვრის ხანს და ის საშინლად განრისხდება... უეჭველია, შაჰის როლი მესხიშვილის ერთი საუკეთესო როლთაგანი შეიქმნება.

ქეთევანის როლში ნ. ჩხეიძე კარგი იყო; მაგრამ ვისაც ეფ. მესხი უნახავს, ისე კმაყოფილი ვერ დარჩებოდა. ხიმშიაშვილის როლში გამოვიდა ახალგაზრდა არტისტი დ. ჩარკვიანი; მისი შესაფერი როლი არ იყო ეს, მაგრამ როლი არ წაუხდენია და ესეც კარგია. ერთი კარგი არტისტი ქალი შეუძენია ჩვენს დასს—ქ-ნი მდივანი, რომელმაც ფაიხოშის როლი ითამაშა და მოაწონა კიდეც თავი საზოგადოებას.

---

შავებდნენ.

რამდენსა სცდილობდა თომა ამდენს ხალხში ერთი თავის გუნების კაცი ეპოვნა, მაგრამ ამაოდ, არც ერთი ამათგანი არ იყო ისეთი, როგორიც თომას უნდოდა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ დღე-მუდამ თავში კაკუნს, უსამართლობას ისინი უგრძნობელი და გულ-ჩათხრობილი გაეხადა. აღარავის მწუხარებას არა ჰქონდა იმათზედ გავლენა, ვინაიდგან ყოველს მათგანს თავისი დარდი და ნაღველი უფრო მწვავე და გამაბრუებელი ჰქონდა. ლონივრები სუსტებს სჩაგრავდნენ და, საზოგადოდ, ყოველი მათგანი თავისის თავის ფიქრში იყო. სხვათა შორის თომამაც მიიღო თავისი წილი, ერთი ტომარა სიმინდი, რომელიც უეჭველად ერთს კვირას უნდა ჰყოფნოდა. თუმცა ისიც საკმაოდ იყო დაღალული, მაგრამ თაკისხზედ წინად ორს დაღალულს და არაქათ მიწყვეტილს ქალს მიეშველა და ჯერ იმათ დაუფქვა ერთ ჯერისათვის სამყოფი სიმინდი. ამათ მადლობის ნიშნად თავის მხრივ პური გამოუცხეს.

როცა იახშმეს, თომამ ამოიღო დაბადება, გადაფურცლა და კითხვას მოჰყვა, რომ ცოტაც არიც შეემსუბუქებინა თავისი დარდი და ნაღველი, რომელიც ამ ხანად როგორლაც კვლავინდელზედ მეტად შემოსწოლოდა გულზედ და სწიწკნიდა.

— აბა ერთი წამიკითხე რა სწერია მაგ-წიგნში,—სთხოვა ერთმა ქალმა.

თომამ წაუკითხა.

— „მოვედით ტვირთ-მძიმენო და მაშვრალნო და მე ნუგეშ გცემთ თქვენ“.

— მაგას ვინ ამბობს?

— უფალი,—მიუგო თომამ.

— ეჰ, ბარემ წავიდოდი იმასთან, მაგრამ რა ვქნა, ძალიან დავიღალე. ღონე აღარა მაქვს,—ამოოხვრით წარმოსთქვა ქალმა. მთელი დღე ვმუშაობ, წელში ვწყდები და ეგ სახელ-გასაწყვეტი ზამბო კი მაინც ილანძღება.

ლეგრიმ დააფასა თომას ერთგულება და მოიწადინა მისი ზედა-მხედველად დაყენება, მაგრამ როცა შეატყო, რომ მონების წვალებას არ აანაუგრძნობდა, შეიძულა და მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელოდდა, რომ სამაგიერო გარდაეხადა.

ერთხელ მინდორში ბამბის კრეფის დროს, თომამ სხვა მუშებთან ერთად ერთი მაღალის ტანისა და ამპარტავნულის შეხედულობის შუახნის ქალი დაინახა. მისი ცისფერი თვალები მეტის მეტს ზიზღსა და თავგანწირულებას გამოჰხატავდა. ის მოდიოდა ისე, რომ არავის აქცევდა ყურადღებას.

— ჰე, დაგიჭირეს, ეგეც შენა,— მისძახოდნენ უკანიდგან ნიშნის მოგებით მუშები.

— აბა ერთი ჩვენი მუშაობაც სწვნიე, ქალბატონო, როგორია! ეუბნებოდნენ ახლა მეორენი.

თომამ ერთის შეხედვით შეატყო, რომ ეს ქალი განათლებულს წრეს ეკუთვნოდა და გაკვირვებულს ვერ ძოესაზრებინა, თუ საიდგან, ან როგორ უნდა ჩავარდნოდა ის გალლის ხელში. იმ დღესვე თომამ ერთს სხვა ქალს, სახელად გლიუსას შეატყო, რომ ეს საწყალი ამგვარის მუშაობისათვის სრულიად არ ვარგოდა, რადგან მეტად სუსტი და უჯანო იყო. თომამ აიღო და თავის კალათიდგან ბამბა გადაუღო.

— ოჰ, არა; საჭირო არ არის, გაფრთხილდი არ დაგინახონ, თორემ პირს არ მოგიკოცნიან,—უთხრა ქალმა.

მართლაც, არ გაუვლია ერთს წამს, რომ ზამბო ყვირილითა და ლანძღვაგინებით მიიჭრა მათთან. „შენ ჰეი, რას ეშმაკობ!“ დაუღრიალა ქალს და ისეთ რიგად წაჰკრა მუჯლუგუნი ხის ფეხსაცმელით საბრალოს, რომ მას გული წაუვიდა, თომასაც ერთი ლაზათიანი სახრე უთავაზა ზურგში. მერე ქალს მოსასულიებრად მახათი უჩხვლიტა გვერდში. ამის ამგვარმა საქციელმა სულ გული აუმღვრია თომას, აიღო და, როცა მათ ზამბო მოშორდა, მთელი თავის მოკრეფილი ბამბა საბრალო მსხვერპლს გადუღო კალათაში.

ამ დროს თომამ შეასწრო თვალი იმ ამპარტავნულ შეხედულობის ქალს, რომელიც დღეს პირველად იყო მოსული სამუშაოდ. ქალიც მას უცქეროდა. მერე მივიდა თომასთან და ახლა ამან თავის მხრივ გადაუღო მას ერთი ნაწილი თავის ბამბისა.

— შენ შენს ტყავს გაუფრთხილდე, ჩემო ძამია, ისა სჯობია—მიუბრუნდა იგი თომას.

ზამბომ ამასაც მოჰკრა თვალი და შოლტ მოღერებული ამათკენ გამოექანა.

— შენ ჰეი, შენც მოჰყე ეშმაკობას?—დასჭყივლა იმან, შენ ხომ იცი, ეხლა ჩემს ხელთა ხარ, მისამარას გაფრთხილდი, თორემ ტყავს გაგაძრობ!

ქალმა შეუბღვირა და ამპარტავნულად აავლ-ჩაავლო თვალი.

— აბა სინჯე, მე შენ გაჩვენებ შენს სეირს, იმდენი გავლენა კიდევ დამრჩენია, რომ შენისთანა წუნკალა თავზედ არ წავისვა. დაიკარგე აქედგან,—დაუყვირა ქალმა.

— მომიტევეთ კასსი, მე თქვენი წყენა გულშიაც არა მდებია,—მიუგო ცოტა არ იყოს შეშინებულმა ზამბომ.

საღამოობით ყოველთვის, როცა მუშაობას მორჩებოდენ, ყველას აუწონდენ ხოლმე ბამბით სავსე კალათებს.

როცა ჯერი ლიუსის კალათაზედ მოდგა, იმისდა მიუხედავად, რომ ამისი კალათა ყველასაზედ გაცილებით მძიმე იყო, ლეგრიმ მაინც დაუღრიალა:

— ჰაი, შე ზანტო, შენა, ეს რა არის, შენი კალათა კიდევ ყველაზედ სუმბუქია! დამაცადე, მე შენ გაჩვენებ შენს სეირს. მიდექი გვერდზედ.

ლეგრი მიუბრუნდა ახლა თომას.

— წაათრიე ეს გომბიო და ერთი ლაზათიანად მიბერტყე, რომ კვლავ ასე ზარმაცად აღარ გაისარჯოსო. უბრძანა თომას ლეგრიმ.

— არა, ბატონო, არ შემიძლიან, —მტკიცედ მიუგო თომამ. მე მზადა ვარ დღე და ღამ თქვენთვის ვიმუშავო, მაგრამ მაგის ცემა კი არ შემიძლიან.

— რაო?!—დაუღრიალა ლეგრიმ და გაცოფებულმა სახრე გადაუჭირა საბრალოს:—ახლა ხომ შეგიძლიან პირუტყვო?!

— არა, არ შემიძლიან,—ისევე მტკიცედ მიუგო თომამ და სახეზედ ჩამონადენი სისხლი შეიწმინდა: ეს ქალი ავად არის და კიდეც რომ მომკლათ, მე მაგას ვერა ვცემ, წარმოსთქვა თომამ მშვიდად, მაგრამ გარდაწყვეტით.

— მაშ შენი სული და ხორცი მე არ მეკუთვნის, მითხარი რაღა!.— დაუღრიალა გაცოფებულმა ლეგრიმ.

— ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, და არა თქვენ,—მიუგო თომამ.

— რაო? მე არ მეკუთვნისო! აი მაგასაც ეხლავე დავანახავთ!—ჰყვიროდა იგი გაცოფებული.—ზამბო! კვიმბო! მოდით ერთი წამოაქციეთ ეს ვაჟბატონი და იმდენი ურტყით, სანამ ბატონის პატივისცემას ისწავლიდეს.

ნეგრემა სიხარულით მოავლეს ხელი თომას და წაათრიეს ბრძანების აღსასრულებლად.

ა. წინამძღვრიშვილი

(დასასრული იქმნება)

თეატრში ტევა არ იყო, ნამეტნავად ქანდარაზედ.

—

სამს ოქტომბერს მეორე წარმოდგენა იყო. ითამაშეს „მეფე ლირი", ეს ისტორია ადამიანის მიერ სიმართლის და სამართლის მოპოვებისა. მეფე თავით-ფეხამდე, პატრიარქი, თვით-ნება, განებივრებული, მუდამ მორჩილებას, პირ-ფერობას მიჩვეული, ყველაში და ყველაფერში თავის „მე"-ს გამბატონებელი, სხვის გულში არ ჩახედული ლირი, მხოლოდ ქალიშვილებისაგან გაძევებული, წვიმა-ქარიშხალში თითქმის შიშველა, როდესაც თავის თავზედ იგრძნობს ადამიანების უსამართლოებას, მაშინ გაიგებს სხვის გაჭირვებას. ღმერთო, როგორ არ მიზრუნვია წინად ამ გაჭირვებულთათვისო? მხოლოდ გაჭირვება აუხელს თვალებს, და გაიგებს, რომ მისი მოსიყვარულე ქალი კორდელია ყოფილა, რომელიც ისე სასტიკად დასწყევლა და განდევნა წინად. ვაი იმ ადამიანს, რომელსაც გაჭირვება და უსამართლოება არ გამოუცდია თავისს თავზედ! ის, შეიძლება, სიკვდილამდე ბედნიერი და კმაყოფილი იყოს. ბედნიერი და კმაყოფილი შეუგნებლად, მაგრამ იმისთვის უცნობი დარჩება სიმართლე და სამართალი—ეს უძვირფასესი თვისებანი ადამიანობისა. ვაი უფრო ისეთს ერს!.. მხოლოდ გაჭირვება მისცემს მას ძალას, ძალას სამართალზე დამყარებულს.

კ. ყიფიანი საუცხოვო იყო ლირის როლში. გვგონია, ეს საუკეთესო როლი უნდა იყოს მისი. სცენები—კორდელიას განდევნისა, გონერილას დაწყევლისა, „იქექ-იქუხე", შეშლილობის,—ევროპის საუკეთესო არტისტების ნათამაშევს შეედრებოდა. ამ როლში კ. ყიფიანი რამდენჯერმე უნდა ჰნახოს ადამიანმა, რომ ღირსეულად დააფასოს იგი. ვლ. მესხიშვილი თამაშობდა ედგარის—თომას როლს და წვიმა-ქარიშხალის სცენაში აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება.

მცირე შენიშვნა: საზოგადოდ შექსპირის პიესების შემოკლება მათი დამახინჯებაა. კორდელიას ვხედავთ პირველს სცენაში, როდესაც ლირი სწყევლის და განდევნის მას და უკანასკნელში, როდესაც იგი მკვდარი შემოაქვს ლირს და გაგიჟებით დასტირის. მაყურებლებისათვის გაუგებარი რჩება ასეთი ცვლილება ლირისა. უმჯობესია, ისევ დეკორაციები დამახინჯდეს, ვიდრე სცენები.

S—son

## წერილი ფოთიდგან.

6 ოქტომბერს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ალექსანდრეს სამსახურის 50 წლის შესრულებისა გამო ფოთის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი მისის მეუფების მრავალჟამიერით. ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა თვით მისი მეუფება. პარაკლისის შემდეგ დეკანოზმა გრ. მაჭაროვმა მოახსენა ყოვლად სამღვდელოს გრძნობიერი სიტყვა და მისმა მეუფებამ დალოცა ტაძარში მყოფნი. შემდეგ ყოვლად სამღვდელოს თავისს სახლში მიულოცეს სადღესასწაულო დღე ქალაქისა და სხვა და სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლებმა და აგრეთვე პატივცემულ მკვიდრთ ორსავე სქესისამ. იმავე დღეს ფოთის სამღვდელოებამ, საეპარქიო კანცელარიის მოხელეთ და საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს წევრთ გამართეს სადილი ყოვლად სამღვდელოს პატივსაცემლად. მისს მეუფებას მოუვიდა კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავადის გოლიცინისაგან შემდეგი დეპეშა:

„გულითადს სალამს გიძღვნით, თქვენო მეუფებავ, წინაშე ჩვენის დედის-ეკკლესიისა თქვენის სამსახურის ნახევარ საუკუნის შესრულებისა გამო. გულ წრფელად მსურს განაგრძოს უფალმა თქვენი ეს სამსახური კიდევ მრავალ წელს.

გენერალ-ადიუტანტი თავადი გოლიცინი."

საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანისაგან:

„გულითადს სალამს გიძღვნი, თქვენო მეუფებავ, და მოგილოცავთ ორმოც და ათის წლის შესრულებას თქვენის კეთილ-ნაყოფიერის სამსახურისას. ვევედრები უფალს მოგანიჭოთ ძალ-ღონე კიდევ მრავალ წელს იმსახუროთ ივერიის წმინდა ეკკლესიისა და თქვენდამო რწმუნებულის სამწყსოს სასიკეთოდ".

გარდა ამისა მისს მეუფებას კიდევ მრავალი მოსალოცი დეპეშა მოუვიდა, ეპისკოპოსების ბესარიონისა და კირიონისაგან, სინოდალურ კანტორის პროკურორისა, ამავე კანტორისა და ექსარხოსის კანცელარიის მოხელეთაგან, სემინარიების რექტორებისა და მასწავლებელთაგან, გენერალის კონსტანტინე მამაცაშვილისაგან, „კავკასის" რედაქტორის ვ. ლ. ველიჩკოსაგან და კიდევ მრავალი სხვა.

## წერილი ოზურგეთიდგან.

—

3 ოქტომბერს მთელი მაზრის და ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა შეკრბა ქ. ოზურგეთში ახალგაზდა მიცვალებულის ელენე გურიელის ასულის პატივსაცემად და გასასვენებლად. იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ ასეთ ახალგაზდა ქალიშვილის გარდაცვალებას ამდენი გულწრფელი საერთო მწუხარება გამოეწვიოს მთელ ადგილობრივ საზოგადოებაში. ამ გარემოების მიზეზი ის არის, რომ განსვენებული ელენე გურიელის ასული კეთილი, პატიოსანი და კარგი ხასიათის ადამიანი იყო. ამიტომაც საზოგადოება და მით უმეტეს უფრო მისი ნაცნობნი ბევრ სიკეთეს მოელოდნენ მისგან, მაგრამ უწყალო და უსამართლო ბედმა არ დააცადა თავისის გულის წადილის შესრულება. გულსაკლავი იყო ის სურათი, როდესაც სახლიდგან გამოსვენებულ, მრავალ გვირგვინებითა და ყვავილებით მორთულ კუბოს, კიბესთან ეზოში დახვდა ახალგაზდა მეგობრები, ქალიშვილები და განსვენებულის სამზრუნველო სამრევლო საქალებო სკოლის მოწაფენი გვირგვინებით და ყვავილებით. აქვე პირველად შესაფერი სიტყვები უთხრა განსვენებულს ახალგაზდა ქალიშვილების მაგიერ ეკატერინე ბერეჟიანის ასულმა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სამრევლო საქალაქო სკოლის მოწაფეთა მაგიერ ქალაქის მოურავმა თ. ნიკო თავდგირიძემ. დასასრულს სთქვა:

„საზოგადოდ სიკვდილი ყველასათვის დასაფიქრებელი, საზარელი მოვლენაა ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანის თვისება ისეთია, რომ უფრო სასტიკ შემთხვევას ეჩვევა, ურიგდება, თუ-კი ის მოვლენა ცხოვრების მიუცილებელ კანონს წარმოადგენს; წინააღმდეგ, როდესაც ცხოვრების ჩვეულებრივი მიუცილებელი წესი ირღვევა და რამე სამწუხარო მოვლენა უდროოდ, ნაჩქარევად ხდება, ადამიანი ერთი ორად უფრო აღშფოთებული და შეწუხებულია; სწორედ ასეთ აღშფოთებასა და ტანჯვას ჰგრძნობს, დარწმუნებული ვარ, ყველა აქ დამსწრე საზოგადოება: ვინ იცის რამდენ კეთილ, წრფელ, პატიოსნურსა, გამოურკვეველსა და ცხოვრებაში ჯერ გამოუცდელ გრძნობას და წადილს კმარხავთ შენთან ერთად?! თუმცა ყველა ადამიანი ერთი მეორეს წააგავს საერთო ხასიათით და ზნე ჩვეულებით, მაგრამ უფრო კერძო პირადობაში დიფარული რაღაც თავისებური ნიჭი, ზნეობრივი ძალა, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობისათვის უნდა განვითარდეს და მომზადდეს. ჩვენი, ქართველების უბედური, ბედ-შავი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ კერძო ადამიანს ჩვენებურ საზოგადოებისაგან არავითარი წინდა-წინ გამორკვეული, აღნუსხული სამოღვაწეო გეგმა არა აქვს დანიშნული, რომ ერთის საერთო მიმართულებით ჰხელმძღვანელობდეს ყოველი ჩვენებური წევრი; სამწუხაროდ ჩვენდა, არც ოჯახის ჩვენი ისეთია, რომ რაიმე უმთავრესს დედა-აზრს, საერთო საგანს უსახავდეს ახალ მოზარდ ბავშვს. ასეთ გარემოებაში ყველა ჩვენებური ახალგაზდა კაცი თუ ქალი თავის ნებაზედ უპატრონოდ, გზის გაუკვლევლად მიტოვებულია; კარგავს კიდე თვით მათის ცხოვრების შინაარსიანობა, თავისუფლება და ფართო ასპარეზი აკარგვინებს, აჩვენებს გზას; სულ სხვანაირ მდგომარეობაშია ჩვენებური ქალიშვილი: თუ კარგი დამხმარე, ხელის გამწყობი, მრჩეველი არ შეხვდა, მისი გულითადი წადილი გამოურკვეველი და გრძნობები დაუკმაყოფილებელი დარჩება სიკვდილამდის. აი ამით აიხსნება უმეტეს შემთხვევაში ჩვენებურის ახალგაზდა ქალიშვილების მხრივ ცხოვრების უკმაყოფილება.

„ნათესავურმა დამოკიდებულებამ და მეგობრულმა განწყობილებამ მომცა შემთხვევა გამეცნო შენი ხასიათი და ის პატიოსნური წრფელი სურვილები, რომელიც გასულდგმულებდა: ბევრჯელ გამიგონია შენგან: „სულითა და გულით მსურს რამე გავაკეთო, სარგებლობა მოვუტანო საზოგადოებას, რამე წვლილი მეც შევიტანო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიო, მაგრამ ერთის მხრით მომზადება არა მაქვს ამისათვის და მეორეს მხრით მრჩეველი, გზის მაჩვენებელიც არავინ მყავსო"; სწორედ ამ შენმა კეთილმა საზოგადოების სამსახურის სურვილმა მოგკიდებინა ხელი აქ დამსწრე სამრევლო საქალებო სკოლის მოწაფეების მზრუნველობისათვის; არა ერთხელ გითქვამს: „მცხვენიან, გწუხვარ, რომ ბევრს ვერას გავაკეთებ ჩემს სამზრუნველო ბავშვებისთვისაო". თავის დღეში არ დამავიწყდება შენგან გულწრფელი, უსუსური, ბავშურის გულ-უბრყვილობით ნათქვამი სიტყვა: „მამა ჩემმა ცხენი მაჩუქა და სანამ სხვა საკუთარი ფული მექნებოდეს, იმ ცხენს გავყიდი და ამ სკოლის საჭიროებას მოვახმარო". ხანდახან უბრალოდ, შემთხვევით წარმოთქმულ სიტყვაში იმდენი გულ კეთილობა, პატიოსნება და გრძნობის სიღიადე იხატება, რომ არა გეთაზ ოქროს და ვერცხლს არ შეუძლიან იმის მაგიერობა; ჩვენთვის ძვირფასია მაგისთანა წრფელი, კეთილი სურვილებიც; ჩვენ ის გვაწუხებს, რომ მრავალია ჩვენ შორის ისეთი ადამიანი, რომელმაც სურვილისამებრ გაატარა ყველა შესაფერი ხანა თავის ცხოვრების და ერთხელაც არ დაჰბადებიათ მათ ასეთი პატიოსნური სურვილი; აი, ამისათვის მადლიერნი შენის სამზრუნველო სკოლის მოწაფენი დაესწრნენ შენს გასვენებას და თვალ-ცრემლიანნი მოგიძღვნიან ამ გვირგვინს".

შემდეგ კუბო ხელში აიღო თორმეტმა ქალიშვილმა და ქალაქის შუა ადგილამდის მიასვენა. ცხედარი უნდა წაესვენებინათ სოფ. შემოქმედის მონასტერში, სადაც ოზურგეთელი გურიელების სასაფლაო ადგილია. ქალაქის და სოფლის საზოგადოებამ მოისურვა ხელით კუბოს წასვენება მონასტრამდის, ექვსი ვერსტის მანძილზედ. მონასტერში მწირველად ჰბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელმაც წირვის გათავების შემდეგ გრძნობიერი და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. დასასრულებით აი რა სთქვა ყოვლად პატივცემულმა ეპისკოპოსმა:

„უდროოდ მიცვალებულო თავადის ასულო ელენე! დღეს მე დავესწარი შენს დასაფლავებას და ვარ მოწამე იმისა, თუ რა რიგ გულწრფელად შეწუხებულა შენის დაკარგვით მთელი შენი მახლობელი საზოგადოება, რომელიც სამუდამოდ გეთხოვება. მახსოვს ის, როდესაც საწყალი მამაშენი სახლიდგან გამოსვენების დროს გამოგეთხოვა და გითხრა: „შვილო, დღეიდგან ჩემი სახლის კარები უნდა დაიხუროს, საზოგადოება მხოლოდ შენით მიცნობდა, შენ შეაყვარე მას ეს ოჯახიო". მახსოვს აგრეთვე თავ. ნ. თავდგირიძის სიტყვაც. შენ, როგორც ჩანს, საუცხოვო კეთილი და პატიოსანი გრძნობის ქალიშვილი ყოფილხარ. იმდენად გინდოდა თურმე შემწეობა შენ სამზრუნველო სკოლისათვის, რომ შენს სახსოვრად საჩუქარსაც-კი იმისთვის არა ჰზოგავდი. აქ წარმოთქმული სიტყვები და დამსწრე საზოგადოების მწუხარება მარწმუნებს, რომ შენ მართლა კეთილი და პატიოსანის გრძნობის ადამიანი ყოფილხარ. ამიტომაც შენი დასაფლავება რაიმე შესამჩნევი მოვლენით უნდა დავაბოლოვოთ. მე მინდა დღეს შენს სახელზედ დავიწყო შენ მამა-პაპათაგან სასაფლაოდ აგებულ შემოქმედის მონასტრის განახლების საქმე. მაგთე საუკუნიდგან არსებობს ეს ნაშთი ჩვენის მველის კულტურისა და დღეს, როგორც ვხედავთ, ინგრევა და გვეცლება ხელიდგან, თუ ეხლავე არ მივეშველეთ. ამიტომ მე ჩემის მხრივ ათას-ხუთასს მანეთს ვსწირავ ეხლავე ამ საქმისათვის და იმედი მაქვს შენ პატივსაცემლად აქ დამსწრე საზოგადოება ჩემს მაგალითს მიჰბაძავს".

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ იქვე მონასტრის ეზოში მოუწოდა ხალხს და მისი თანადასწრებით ჩააბარა 1500 მანეთი შემოქმედის მონასტრის განმაახლებელ კომიტეტის წევრებს: ოზურგეთის ქალაქის მოურავს თ. ნიკო თავდგირიძეს და ბლაღოჩინს დიმიტრი ქიქოძეს. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა მოითხოვა რვეული, სადაც ჩასწერა თავისი შემოწირულება. მიცვალებულის ბიცოლამ კნეინა სალომე გურიელის ქალმა მოაწერა ხელი ათას ხუთას მანეთზედ; ძმებმა დუმბაძეებმა ივანე ანტონის ძემ და მისმა 7-მა ძმამ აღუთქვეს 150 მანეთი თითოეულმა, ე. ი. 1050 მანეთი; შემდეგ კერძო ხელმოწერით შესდგა ორი ათას მანეთამდის. ასე რომ ამ სამწუხარო სამგლოვიარო შემთხვევამ გამოიწვია შემოქმედის მონასტრისათვის საბედნიერო მოვლენა. ამ დღიდგან დაიწყება ჩვენი მველებური ნაშთის—შემოქმედის მონასტრის განახლება.

X

# თეატრის მატიანე

სამშობლო, დრამა ხუთ მოქმედებად.

დრამატიულ დასის არტისტებმა კვირას, 10 ოქტომბერს, მეორე წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენილი იყო მრავალ-ტანჯული „სამშობლო", რომლის ნახვის უწინდელი ხალისიც უკვე დაეკარგა საზოგადოებას ამ პიესის უადგილო-ალაგიანად დადგმით-წარმოდგენას უმთავრესად მდაბიო ხალხი დაესწრო.

განსხვავება წინად წარმოდგენილ „სამშობლოსაგან" ამხელად ის იყო, რომ ქეთევანის როლს ასრულებდა ქ-ნი ნებიერიძისა, სპარსთა დამხოც დედაკაცისას—ქ-ნი ვაშაკიძისა და შაჰისას—ბ-ნი კანდელაკი. სხვა განსხვავება ისა ჰქონდა სამშობლოს, რომ მკურნალისა და შაჰის მხლებლის ალავერდის როლები სრულიად გამოეტოვებინათ. გარეგნად პიესა ჩვეულებრივ ღარიბად იყო მოწყობილი და ბევრი წვრილმანი ნაკლი ეტყობოდა, მაგალითებრ, პირველ მოქმედებაში ისრაფილ ხანი შემოდის, შაჰის ჯარის მთავარ-სარდალი და არც ერთი ჯარის-კაცი არ უდგება ფეხზედ.

ლეონიძისა და ხიმშიაშვილის როლებს კვლავ ბ-ნნი ყიფიანი და სვიმონიძე ასრულებდნენ. რაც შეეხება როლების ახალს აღმასრულებლებს, ბ-ნმა კანდელაკმა შაჰის როლს ახალი არა შესძინა-რა, ქ-ნი ვაშაკიძისა ძალიან სუსტი იყო სპარსთა დამხოც მხნე დედაკაცის როლში. სრულიად არ ეტყობოდა ის გამწარება დაგაშფოთება, რომლითაც ეს ათის სპარსელის დამხოცი დედაკაცი უნდა იყოს შეპყრობილი სპარსთა მიერ ქმარ-შვილის დახოცვისა გამო. იგი გამწარება-აღშფოთების ნაცვლად ისეთ ნაირად ჰლაპარაკობდა, თითქოს კაბა აქვს გამოსაჭრელი და იმის შესახებ ბაასობს ნაცნობ დედაკაცებ შორისაო. ქ-ნმა ნებიერიძისამ, ქეთევანის როლის აღმასრულებელმა, როლი ძალიან სუსტად იცოდა, ეტყობოდა, რომ წარმოდგენისათვის სრულიად არ იყო მომზადებული. საზოგადოდ ძნელად თუ ამ ახალგაზრდა არტისტ-ქალმა ძლიერის დრამატიულის როლების აღსრულება შეიძლოს. მშვენიერი იყო ქ-ნი ნებიერიძისა იმ სცენებში, სადაც იგი ხიმშიაშვილს ეალერსება. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, რომ ქ-ნი ნებიერიძისა სწორედ შესაფერისი იქნება საკომედიო როლებისათვის.

რაც შეეხება როლების უცოდინარობას, სულ ორიოდე დღის წინად დაურიგებიან როლები არტისტებისათვის და ამ მცირე ხანში, რასაკვირველია, ძნელი იყო მისი დასწავლა. ან ნეტა ასე შესანსვლა პიესისა შეიძლება? კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ეს წარმოდგენა კუტ წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს ამ სეზონში. ვერაფერი დასაწყისია...

მ—ძე

# რუსეთი

—

„მთავრობის უწყებაში" გამოცხადებულია სახელმწიფო წესწყობილე-

ბისა და საზოგადოებრივის წესიერების დასაცველი ღონისძიებანი. დადგენილია გაგრძელდეს ამ ღონისძიებათა ხმარება 3 წლით, ხოლო მე-31 მუხლი შეცვლილ იქმნას ამ რიგად: შინაგან საქმეთა მინისტრს, სამხედრო საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკებით, უფლება აქვს, რომ სახელმწიფო დანაშაულის საქმეები და აგრეთვე მთავრობის მიერ დანიშნულ მეუფროსე კაცებთან იარაღით წინააღმდეგობის გაწევის საქმეები, ანუ ჯარისა და პოლიციის მოხელეებზედ და საზოგადოდ თანამდებობის კაცებზედ, სამსახურის ასრულების დროს, თავდასხმის საქმეები, რაკი ამ დანაშაულობათა ჩადენას თან მოჰყვება მკვლელობა, ანუ მოკვლის განზრახვა, დაჭრა, დაშავება, მძიმედ გალახვა ანუ ცეცხლის წაკიდება,—გარდასცეს განსახილველად სამხედრო სასამართლოს, შიშიანობის დროის კანონებით განსასამართლებლად.

— ყუბანის ოლქში სასაფლაოს გათხრის დროს უპოვნიათ ბრინჯაოს კუბო და შიგ ადამიანის ძვლები. ძვლებს გარდა კუბოში ყოფილა აგრეთვე რამდენიმე ვერცხლის თასი გამაგრებულ საჭმელით და ხმალ-ხანჯალი. ძვლების ჩონჩხს არტყია ოქროს სარტყელი. კუბოს მეცამეტე საუკუნეს აწერენ. ჩონჩხი მშვენივრად შენახულა. ეს საყურადღებო ნივთები ამ ჟამად გამოფენილია მოსკოვის საისტორიო მუზეუმში.

## სასამართლოს მატიანე

ცოლის მოკვლის განზრახვა.

5 ოქტომბერს რაჭის მაზრის დ. ხონს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიაში გაარჩა საქმე გიორგი მეტონიძისა, რომელსაც ცოლის მოკვლის განზრახვა ედებოდა ბრალად.

სოფ. ცახის ახალგაზდა გლეხი გიორგი მეტონიძე სულ რამდენისამე თვის ჯვარ-დაწერილი იყო სელმანდიაზედ და ცოლი ისე უყვარდა, რომ მისთვის არაფერს იშურებდა. ამ წლის 9 მაისს მეტონიძე შინ დაბრუნდა სოფლებიდგან, სადაც იგი, როგორც მამასახლისის თანაშემწე, მცხოვრებთაგან სახელმწიფო გარდასახადსა ჰკრებდა; იგი ადრე, შუა დღემდე, დაბრუნდა თურმე, წამოწვა ტახტზედ სადილის მოლოდინში და ჩაეძინა. როცა სადილი მზად იყო და ცოლმა სელმანდიამ ქმარს გაღვიძება დაუწყო, უცბად წამოხტა და სრულიად უმიზეზოდ ცოლს მუცელში ხანჯალი ჩასცა, მაგრამ როცა ქალი დაეცა, მწარედ დაიწყო ტირილი, მეუხვია ცოლს ჭრილობა და ხუცესის ცემა დაუწყო, მთელ ჩემ საცხოვრებელს გაკუიდი და შენ-კი მოგარჩენო. თავისის საქციელის მიზეზი მეტონიძემ ასე აუხსნა მამასახლისს და სხვებს: როცა მეძინა, სიზმარში ვნახე, რომ ყაჩაღები დამეცნენ და სახელმწიფო ფულის წართმევას მიპირებდნენ; ამიტომ ვიძრე ხანჯალი და ყაჩაღების მოგერება დავიწყე; სწორედ იმ დროს გამეღვიძა და გონზედ მაშინ მოვედი, როცა ჩემი ცოლი მირს დაეცაო.

დაჭრილმა ცოლმაც დაამოწმა და აუხსნა მამასახლისს, ჩემმა ქმარმა სრულიად უმიზეზოდ დამჭრაო. ამასთან ვერც გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მეტონიძეს მკვლელობა ეჭვიანობის გამო, ცოლისაგან განსათავისუფლებლად ჩაედინოს.

ოლქის სასამართლომ მეტონიძე დამნაშავედ სცნო და დაადგინა: ჩამოერთვას მას ყოველივე უფლება-უპირატესობა და გაიგზავნოს ციმბირში საცხოვრებლად. („ახ. მიმ.").

## დამაკვირდი

საიდუმლო ტანისამოსის ნახვესა ჰგავს, რამდენიც სცდილობთ, რომ გახეულიადგილი დაჰფაროთ, იგი იმდენად უფრო მეტად ჩნდება.

კარმენ სილვა.

* * *

ებრაელნი ყოველ დღე ასე ჰლოცულობენ: „გმადლობ, უფალო, რომ დედაკაცად არ გამაჩინე!"

ა. ბეეეცკი

* * *

ევროპიელნი ჰქადულობენ და კიდეც იგვეხიან თავის განათლებითა და წარმატებით და უწინდელ მფლობელებს ბარბაროსებად სთვლიან, გარნა რა ბედენაა მათი განათლება, როდესაც მგელებურადვე ერთურთის სისხლსა სწოვენ და მორჩილ ერთ უსპობენ არა თუ თავისუფლებას, არამედ მეცადინეობენ გააქრონ თვით მათი სახსენებელიც-კი!

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთი „Daily Telegraph"-ი, როგორც იუწყებიან, მთელ ექსპედიციასა ჰგზავნის აფრიკის დასავლელად და გამოსაკვლევად. გაზეთს ექსპედიცია უკვე შეუდგენია და მოუმზადებია გასაგზავნად. ექსპედიციის წინამძღოლად დაუნიშნავთ ცნობილი მოგზაური ლიონელ დეკლი, რომელსაც 1891—94 წლ. უკვე დაუვლია აფრიკის ზოგიერთი ადგილები.

* * *

გაზეთ „Standard"-ში ცნობებია მოყვანილი იმის შესახებ, თუ მატარებლები რომელს სახელმწიფოში უფრო ჩქარა დაიარებიან. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, ათის წლის წინად მატარებლების სიჩქარით პირველი ადგილი ინგლისს ეჭირა, მაგრამ ჩიკაგოს გამოფენის დროს, პირველობა ინგლისს ამერიკამ ჩამოართვა. 1896 წლიდგან ხელახლა ინგლისმა გაიმარჯვა: ლონდონის საგანგებო მატარებლები ამერიკისაზედ უფრო ჩქარა მოსიარულენი აღმოჩნდნენ. ხოლო ეს უკანასკნელი წელიწად ნახევარია საფრანგეთის მატარებლები ჩქარა სიარულით სჯობნიან ინგლისისა და ამერიკისასაც.

* * *

ნიუ-იორკის შტატ ქალაქ როზეში ამას წინად ჯვარი დაუწერიათ 95 წლის მოხუც კაცსა და 55 წლის ქალს. ნეფეს ჯერ ისევ 1812 წლის ომში მიუღია მონაწილეობა. ესპანიასთან ომის დროს იგი ბევრს ეხვეწა მთავრობას, გამგზავნეთ საბრძოლველადაო, მაგრამ მთავრობას არ შეუწყნარებია იმისი თხოვნა. გაზეთების სიტყვით, როდესაც ჯვარის წერა გათავებულა, ნეფე სიხარულით გაიძახოდა თურმე: „ძლივს არ ველირსე ცოლის შერთვას!"-აო.

* * *

ვენის სამკურნალო ჟურნალი „Medicin Presse" იუწყება, რომ, მრავალ ამერიკულ უნივერსიტეტის მაგალითისამებრ, ბერლინის უნივერსიტეტმაც დააარსა ორს სკოლასთან მკურნალთათვის საკულინარო (საჭმელების მომზადება-გაკეთების) ხელობის კურსები. უნივერსიტეტი ამ კურსების დაარსების დროს ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ კარგად ის ჰმკურნალობს, ვინც კარგ გამოკვებაზედ ჰზრუნავსო. ამ კურსებზედ ახალგაზდა მკურნალებმა უნდა შეისწავლონ პრაქტიკულად კარგის საჭმლის მომზადება ავადმყოფთათვის. ამ რიგად მკურნალს, რომელიც ხშირად ავალებს ავადმყოფს—ესა და ეს საჭმელი იხმარეო, თვით ეცოდინება ეს საჭმელი იმის ჯანმრთელობას მართლა სარგებლობას მოუტანს თუ არა, ამასთან თვითვე აუხსნის ავადმყოფს, საჭმელი ასე და ასე მოამზადეთო.

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო სომხური წიგნი „ოსკან პეტროვიჩი ჯოჯოხეთში", კომედია ერთ მოქმედებად, თხზ. გაბრ. სუნდუკიანცისა. ეს კომედია პირველად 1866 წელს წარმოუდგენიათ სომხურს ენაზედ. წიგნი ღირს 30 კაპ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ოქტომბერი

**ლონდონი.** „Standard"-ში დაბეჭდილია დეპეშა, გლენკეს ბანაკიდგან გამოგზავნილი 8 ოქტომბერს. დეპეშა შემდეგს იუწყება: „ინგლისის ზარბაზნებიდგან ბურებს ყუმბარები ჯერ 2,500 იარდის სიშორიდგან დაუშინეს, ხოლო შემდეგ 1000 იარდზედ მივიდნენ და ბურები თითქმის ჩააჩუმეს. მოწინააღმდეგე ზარბაზნების ნაცვლად ახლა თოფებს ისროდა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ინგლისელებს. 9 საათზედ ქვეითა ჯარი და მსროლელნი გორაკზედ შეცვივდნენ და ბურები უკუ აქციეს. სხვა ჯარმა უკან მოუარა და ამ რიგად ბოერები შუაში მოემწყვდნენ. ამ დეპეშის გამოგზავნის დროს ომი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ბოერები მარცხდებიან. ჩვენ შორის 300 მოკლული და დაჭრილია. ბურებმა სამჯერ ამაზედ მეტი იზარალეს".

**ლონდონი.** იუწყებიან სიას გლენკესთან ბრძოლის დროს მოკლულ და დაჭრილ აფიცრებისას: გენერალი სეიმონსი სასიკვდილოდ იქმნა დაჭრილი, თერთმეტი აფიცერი მოკლულ იქმნა, სახელდობრ, ორი პოლკოვნიკი, ერთი მაიორი, სამი კაპიტანი, ხუთი პორუჩიკი; სამი აფიცერი მძიმედ დაიჭრა: პოლკოვნიკი, მაიორი და კაპიტანი; უფრო მსუბუქად დაიჭრა 17 აფიცერი: ორი მაიორი, ხუთი კაპიტანი და 10 პორუჩიკი.

**კაპშტადტი.** ტრანსვაალის სტატსსეკრეტარმა რეიცმა ორანჟეს რესპუბლიკის მოქალაქეთ დეპეშით მიჰმართა, რომელშიაც ბრალსა სდებს დედოფალს ვიქტორიას, მილნერს და ინგლისის მოღვაწეთ—შეურაცხყოფას აყენებენ და ატყუებენ აფრიკანდერებსაო. ინგლისი სცდილობს აქაური მცხოვრებნი შეავიწროოს, ინგლისმა ომი იმიტომ დაგვიწყო, რომ ორი წელიწადი არ დაუცდიით ამომრჩევლობის უფლების მინიჭების ვადას, მაშინ, როდესაც თვით ინგლისში უცხო ქვეყნელთ 12 წელიწადი უნდა იცადონ, ვიდრე ამომრჩევლობის უფლებას მიიღებენო.

**ლონდონი.** ოფიციალურის ცნობებით კლენსკესთან ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა 31 კაცი, ხოლო დაჭრილ—151 კაცი.

10 ოქტომბერი

**რიო-დე-ჟანეირო.** ამ ათის დღის წინად სანტოსში შეამოწმეს ცხრა საეჭვო ავადმყოფი, რომელთა შორის სამი გარდაიცვალა. მკურნალნი სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ამ ავადმყოფობის შესახებ. უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ეს შავი ჭირი არ არის და ამ სენის შეჩერება ადვილიაო.

**პარიჟი.** ბერანჟემ ჩვენება ჩამოართვა ბარილიეს, დერულედსა და სებრანას და გამოძიება დაამთავრა. უეჭველია სამშაბათს წარუდგენს თავისს მოხსენებას კომისიას.

**ლონდონი.** „Central News"-ს აუწყებენ დეპეშით გლენკედგან, რომ როგორც ბოლოს არის ნაანგარიშევი, ბოერებთაგან ცოტა მეტია მოკლული ინგლისელებზედ. ბოერებმა სრულიად წესიერად დაიწიეს უკანაო.

„Liberte"-ის დეპეშა მოსულია პრეტორიიდგან, რომ ორანჟეს რესპუბლიკის ჯარი შეებრძოლა ინგლისელებს ბესტერის სადგურთანაო. ინგლისელები სრულიად დამარცხდნენ და გაიქცნენ ლედი-სმიტში, ხოლო ბრძოლის მოედანზედ დიდ-ძალი სამხედრო მასალა დასტოვესო.

**ლონდონი.** („რეიტერის სააგენტოს" დეპეშა). გაზეთებში შემდეგი დეპეშაა გამოქვეყნებული, მიღებული გლენკედგან: „8 ოქტომბერს საღამოს ინგლისის ცხენოსანი ჯარი უკან მისდევდა ბოერებს, ნაშუადღევს (?) შემდეგ შეეფეთა მეორე რაზმს მტრებისას, დაიწყო ბრძოლა, რომელიც აქამდე არ გათავებულაო".

კაპშტადტიდგან მოსული დეპეშები იუწყებიან, რომ ბოერები დამარცხდნენ ელანს ლააგტესთან და დაიწიეს ფეშბანკუსაკენ, სადაც განზრახულია ხვალ დაესხას თავს ინგლისის ჯარიო.

ოფიციალური დეპეშა, 9 ოქტომბერს, საღამოს 8 საათსა და 45 წუთს მოსული ლედისმიტიდგან, იუწყება, რომ ჯარი, რომელსაც გენერალი ფრენჩი უფროსობდა, დილის 4 საათზედ გამოვიდა მოდდერივერიდგან. შემდეგ გენერალი უაიტი მიჰყვა უკან. 5 საათზედ ინგლისელებმა იძულებულ ჰყვეს და გააჩუმეს სამი ზარბაზანი მტრისა ელანდს-ლააგტესთან. 8 საათსა და 45 წუთზედ ბრიტანიის ჯარმა მტერი შესძრა ადგილიდგან, დაიჭირა მისი ბანაკი და წაართვა ცხენები და სურსათი. ცხენოსანი ჯარი დაედევნა გაქცეულს მტერს. ხმა დიდის, რომ ბრიტანიის რამდენიმე ჯარის-კაცი დაჭრილიაო, მაგრამ დაჭეშმარიტებით ჯერ არა იციან-რა. დილით მტერი 1,000 კაცად აღრიცხეს; ნაშუადღევს კიდევ სხვა 1,000 კაცს მოელოდნენ.

—✦✦—

## წერილი რედაქციის მიმართ

ვინაიდგან არ მალ-მიძს მადლობა გარდავუხადო სათითაოდ ყველას, ვინც პატივი მცა და მომილოცა დეპეშითა თუ წერილით ორმოცდა-ათის წლის შესრულება ჩემის სამსახურისა გამოწმ. ეკკლესიის წინაშე, თქვენის გაზეთის შემწეობით ვუცხადებ მათ ჩემს გულითადს მადლობას.

ალექსანდრე ეპისკოპოსი გურია-მეგრელიისა

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში განთავისუფლდა ორი სტიპენდია სტატსკი სოვეტნიკის იაკობ სოლომონის ძის აბესალომოვის სახელობისა. დებულობის მე-3 და მე-4 §§-ს ძალით, დასახელებული სტიპენდიები შეიძლება მიეცეთ ამ გიმნაზიის იმ ღარიბ მოსწავლე ქალთ, რომელნიც ტფილისში დაიბადნენ და რომელნიც რუსები და სომხები არიან. თხოვნა მსურველმა ქალაქის გამგეობაში უნდა შეიტანოს. თხოვნასთან ერთად უნდა წარედგინოს მეტრიკული მოწმობა ანუ შემოწმებული პირი ამ მოწმობისა და აგრეთვე მოწმობა სამოსწავლო მთავრობისაგან იმის შესახებ, რომ მოსწავლე ქალი, რომელიც სტიპენდიას თხოულობს, სწავლობს დასახელებულ გიმნაზიაში. თხოვნების მიღების უკანასკნელი ვადა ამა 1899 წლის 26 ოქტომბერია.

(1—6.—1)

## ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 18 ამა ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში **მოხდება საჯარო ვაჭრობა** ქალაქის სასწორების იჯარით გასაცემად. სასწორები გამართულია შემდეგს მოედნებზედ: ვერისა, მეიდნისა, ავლაბრისა და დესიმონოვისაზედ და იარმუკაზედ. ყველა სასწორის იჯარით გაცემის ვაჭრობა ცალკე მოხდება. პირობების გასინჯვა გამგეობის კანცელარიაში შეიძლება ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—2)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—17)

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 Октября 1899 г.   სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა   რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.